საზღვაო ხომალდებისთვის სახმობისა და ამოცნობის ნიშნის მინიჭების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ სსიპ "საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ" კომისიას მიმართა განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის №3/10866-16, 12.10.16), წარმოდგენილი სააპლიკაციო ფორმების გათვალისწინებით, საზღვაო ხომალდებისთვის ("MARIANA", "MEDUZA", "WAKE LIFE", "BESHUMI", "BATUMI 1", "ZURAB DEMURIA", "ARENT", "FAZISI 1", "SMB 40 LIKMARI", "AMERSTROOM" და "MYLOTA 1") რადიოსადგურების ლიცენზიაში შესატანი სახმობისა და ამოცნობის ნიშნების მინიჭების შესახებ. აგრეთვე სსიპ "საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ" მოგვმართა განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის №3/10080-16, 21.09.16) სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი „ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში" სტუდენტების პრაქტიკული მომზადების მიზნით სანავიგაციო მოწყობილობისთვის (FURUNO), ამოცნობის ნომრის (MMSI) მინიჭების თაობაზე.

"ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის 47'-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. მიენიჭოს საზღვაო ხომალდებს: "MARIANA", "MEDUZA", "WAKE LIFE", "BESHUMI", "BATUMI 1", "ZURAB DEMURIA", "ARENT", "FAZISI 1", "SMB 40 LIKMARI", "AMERSTROOM", "MYLOTA 1" და მოწყობილობა „FURUNO"-ს ცხრილში აღნიშნული სახმობი და ამოცნობის ნიშნები:

№	ხომალდის დასახელება	ხომალდის მფლობელი	მინიჭებული სახმობი	მინიჭებული MMSI
1	MARIANA	დავით ბობოხიძე	4LQF2	213 369 000
2	MEDUZA	გიზო ჭიჭინაძე	4LQB2	213 355 000
3	WAKE LIFE	რამაზ თურმანიძე	4LQE2	213 364 000
4	BESHUMI	შპს პოსეიდონი	4LQD2	213 363 000
5	BATUMI 1	შპს ბლექ სი პაილოტ სერვისი	4LQA2	213 348 000
6	ZURAB DEMURIA	შპს ფოთის გემთსაშენი	4LQN2	213 123 000
7	ARENT	მინდია ცინცაძე	4LQL2	213 390 000
8	FAZISI 1	შპს ფაზისი 2016	4LQK2	213 389 000
9	SMB 40 LIKMARI	მარინე კეჟერაშვილი	-------	213 211 000
10	AMERSTROOM	Wijngaarden Marine Services B.V	4LQM2	213 391 000
11	MYLOTA 1	MYRIAL LOGISTIC LP	4LQO2	213 394 000
12	FURUNO (სიმულატორი)	სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	---------	213 110 000

2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;
3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) ერთი თვის ვადაში;
4. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტს (ს. შავგულიძე).

კომისიის თავმჯდომარე ვ. აბაშიძე
კომისიის წევრი ე. ასანიძე
კომისიის წევრი მ. ქათამაძე